ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი“

სტუდენტთა გზამკვლევი

ჩვენს შესახებ

ა(ა)იპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ ისტორია 2007 წლიდან იწყება. დღეს კოლეჯი კახეთის რეგიონში მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს და უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. ჩვენ დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს, სხვადასხვა ტრენინგ-კურსებს და კონსულტაციებს.

კოლეჯი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების პროფესიულ განვითარებასა და „მთელი სიცოცხლის მანძილზე“ განათლების მიღების ხელშეწყობაზე. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს აძლევს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

მისია

ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ მისიაა უზრუნველყოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის ევროპულდემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიონალი კადრების მომზადება, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით, სოციალური ინკლუზიით, გენდერული თანასწორობით, ინდივიდის პიროვნული/პროფესიული განვითარებით და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით.

ხედვა

ა(ა)იპ კოლეჯის ”პრესტიჟი” ხედვაა, 2019-2025 წლებში გახდეს რეგიონში წარმატებული პროფესიული სასწავლებელი, მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადებით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, გამართული ინფრასტრუქტურით, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და ბიზნესის სექტორთან მრავალფეროვანი პარტნიორული ურთიერთობებით.

ღირებულებები:

- ✓ გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;
- ✓ სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა;
- ✓ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტაცია;
- ✓ მუდმივი სწრაფვა ინოვაციისა და სრულყოფილებისაკენ.

პროფესიულ სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება, უწყვეტი კარიერული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა;

ბ) მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

გ) მონაწილეობა მიიღოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ინიცირებაში კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით;

დ) მიიღოს განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ე) იცნობდეს და იყენებდეს მის უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ვ) ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;

ზ) თავისუფლად გამოთქვას აზრი ნებისმიერ საკითხზე და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

თ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;

ი) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება;

კ) მოითხოვოს მოდულის/სწავლის შედეგის/სასწავლო კურსის ობიექტური შეფასება პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მსემენლთა შეფასების წესებისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის/ტრენინგ-კურსის/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

ლ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის (ცხრილის), სწავლის შედეგების შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ;

მ) პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებების დაცვის ნაწილში ისარგებლოს კოლეჯის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციებით;
ნ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
ო) დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს დისციპლინურ წარმოებაში;
პ) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ (შესაბამისი გარემოების შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაემორჩილოს კოლეჯის სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ) პატივისცემით მოექცეს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს;
გ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, მისი დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
დ) დაიცვას კოლეჯის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და წიგნადი ფონდით სარგებლობის მოთხოვნები, შეასრულოს ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ შენობაში ქცევის ზოგად წესებს;
ე) ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანისა და დაბრუნების, ასევე სასწავლო ლიტერატურის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში იხელმძღვანელოს კოლეჯის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებით;
ვ) საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს და არ დააგვიანოს ლექციაზე;
ზ) კოლეჯის შენობაში/ტერიტორიაზე არ განახორციელოს ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის მოხმარება, ასაფეთქებელი საშუალების, ცივი ან/და ცეცხლსასროლი იარაღის, საფრთხის შემქმნელი მასალების (ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირები) შემოტანა, შენახვა, გავრცელება-გამოყენება, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა, შენახვა, გავრცელება და მოხმარება, ძალადობა, ძალის გამოყენება, თავდასხმა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდარღვევების ჩადენა;
თ) არ გამოცხადდეს/გადაადგილდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ან სხვა სახის თრობის მდგომარეობაში;

ი) შეასრულოს პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის თანამშრომელთა მოთხოვნები/მითითებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;
კ) პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის
ადმინისტრაციას;
ლ) არ შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროფესიული მომზადებაგადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების ნებართვის გარეშე არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი ან სხვა ტექნიკური საშუალებ(ებ)ა არასასწავლო მიზნით;
მ) ფლობდეს ინფორმაციას, რომ დაუშვებელია წინამდებარე ქცევის წესების, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დარღვევა, სასწავლო/შეფასების პროცესის ჩაშლის მცდელობა. როგორც აუდიტორულ, ასევე დისტანციური ფორმით განხორციელებულ ონლაინ ლექციაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგვიანებით შესვლა
ან თვითნებურად მიტოვება;
ნ) დაიცვას კოლეჯის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და არ დააბინძუროს შიდა და გარე პერიმეტრი;
ო) დაემორჩილოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელ(ებ)სა და კოლეჯში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს;
პ) არ დაუშვას განზრახ, გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან
ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;

ჟ) არ მიაყენოს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სხვა პირებს, არ მოახდინოს სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან/და მორალური ზემოქმედება, დისკრიმინაცია - პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ზემოაღნიშნული პირისათვის დამაშინებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფასა და შეზღუდვას;

რ) ფინანსური ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე, სხვა ფინანსური დავალიანება (არსებობის შემთხვევაში) და მოთხოვნის შემთხვევაში, კოლეჯს წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ს) მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის მიერ განხორციელებულ შესაბამის კვლევებსა და გამოკითხვებში ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისთვის (მათ შორის, უზრუნველყოს კოლეჯთან მუდმივ თანამშრომლობა და ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესახებ, როგორც სწავლის პროცესში, ასევე სწავლის დასრულების შემდეგ. პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ ნებართვის გაცემა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული განათლების განვითარების მიზნებისთვის (როგორიც არის: პოსტერების დამზადება, წარმატებული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, სტატიების მომზადება და სხვა PR-აქტივობებში მონაწილეობის მიღება).

ტ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

სასწავლო პროცესში მხარდაჭერა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მუდმივ მხარდაჭერას, აწვდის მათ ხარისხიან განათლებას და ქმნის უსაფრთხო გარემოს.

2. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა თანაბარ პირობებში ისარგებლონ კოლეჯის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და სხვა საშუალებებით.

3. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან მოსაზრებები კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ და დააფიქსირონ ინიციატივები კოლეჯში პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებლად.

4. კოლეჯის ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის დროული ინფორმაციის მიწოდებას:

4.1. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების განრიგის შესახებ.

4.2. დანიშნული სწავლის შედეგების დადასტურების/თეორიული და პრაქტიკული გამოცდების (მათ შორის შუალედური, საკვალიფიკაციო, განმეორებითი/დამატებითი) თარიღების/ვადების შესახებ.

4.3. გასაჩივრებული სწავლის შედეგების/გამოცდის შედეგის შესახებ და სხვა.

არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი

1. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხრიდან წარმოდგენილი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას/განხორციელებას, რომელიც გულისხმობდეს სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით, საექსკურსიო-შემეცნებით, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობას, ასევე არაფორმალურ განათლებას.

3. ინიციატივა სტუდენტთა/მსმენელთა მიერ წარმოდგენილ უნდა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციაში წერილობითი განცხადებით, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი განსახორციელებელი აქტივობა და მასში ჩართულობის მნიშვნელობა.

კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი:
   - მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
   - ეხმარება საჭიროებისამებრ კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში და ა.შ.;

2. კოლეჯი პერიოდულად მართავს დასაქმების ფორუმებს კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების/პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მოქმედი პროფესიული სტუდენტების და მსმენელების მონაწილეობით.

3. კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას კოლეჯის სოციალური ქსელის საშუალებით დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას ტრენინგების, ასევე სხვა ღონისძიებების შესახებ (მაგალითად გამოფენები, პრეზენტაციები, ვიდეორგოლების გავრცელება და სხვა).

პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი

   ა) პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს მობილობას ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

   ბ) ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს.

სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია სასწავლო დროდ განსაზღვრულ იქნას ასევე შაბათ-კვირა და კანონმდებლობით განსაზღვრული დასვენების დღე;
2. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე;
3. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი);
4. პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი ელექტრონული ჟურნალიის საშუალებით;
5. დუალური პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტის საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი;
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით;
3. განმსაზღვრელი შეფასება გულისხმობს მხოლოდ ჩათვლის პრინციპს და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი/შედეგები დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.
5. იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სტუდენტს მათი განმეპორებით დადასტურების შესაძლებლობა აქვს ამ მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
6. სსსმ პროფესიული სტუდენტები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
7. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებულია ჩააბაროს შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა.



შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურა

1. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით;

2. შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს არაუგვიანეს შედეგების გაცნობის დღისა.

3. პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი იმავე დღეს ქმნის სააპელაცო კომისიას;

4. შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია:

ა) შეცვალოს შეფასება პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ;

ბ) დატოვოს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება ძალაში, თუ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.

6. პროფესიულ სტუდენტს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზნით პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯს დირექტორს. განცხადებაში აუცილებელია სტატუსის შეჩერების მიზეზის მითითება, თუმცა მიზეზის შინაარსი ვერ გახდება პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.
3. პირს, პროფესიული სტუდენტის სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. აღნიშნულ ვადაში პირის (კანონიერი წარმომადგენლის) მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;

დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;
ე) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;
ზ) გარდაცვალება;
თ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (გარიცხვა) გამოყენება;
ი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30 პროცენტზე მეტის გაცდენა;
2. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა ლექციებზე, არ შეუტყობინებია გაცდენის მიზეზი და ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს განცხადებით, ამოირიცხება ჯგუფიდან და შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ გაიარა კოლეჯის მიერ მისთვის გამოყოფილ ადგილზე საწარმოო პრაქტიკა, ან არ იცავდა და არღვევდა საწარმოო პრაქტიკის განრიგსა და ქცევის წესებს, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, მიმდინარე წელს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ჯგუფში, სადაც შესაძლებელი იქნება სწავლა განაგრძოს იმ ეტაპიდან რა ეტაპზედაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება;
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზევით.

მობილობა/შიდა მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით (გარე მობილობა, შიდა მობილობა);
2. შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა;
3. გარე მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა;
4. მობილობის გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ფორმდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით;
5. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს;
6. მობილობა/ შიდა მობილობა დასაშვებია, თუ დაცულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილი მობილობის ვადები და არსებობს ადგილი იმ პროგრამაზე, სადაც იგეგმება პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;



კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა მისი დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი;
2. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავის შედეგები, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომი.
3. პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
4. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია, სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში მიღებული შედეგების, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის და საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული შეფასების საფუძველზე;
5. კოლეჯის დირექტორი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის ოქმის საფუძველზე გამოსცემს სტუდენტ(ებ)ისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

სასარგებლო ბმულები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
https://vetprestige.ge/uploads/sasw%20proc%20mareg%20dd.pdf
- პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი
https://vetprestige.ge/uploads/sw%20shedeg%20shefas%20dd.pdf
- შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი
https://vetprestige.ge/uploads/sak%20ddd.pdf
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკა
https://vetprestige.ge/uploads/msmenelta%20dd.pdf
- ბიბლიოთეკის დებულება
https://vetprestige.ge/uploads/bibl%20d.pdf
- სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი
https://vetprestige.ge/uploads/s%20sheviwr%20dd.pdf
- ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესი
https://vetprestige.ge/uploads/tambaqo%20d.pdf
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
https://vetprestige.ge/uploads/pers%20monac%20d.pdf

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებ-გვერდი: www.vetprestige.ge

ჩვენი ლოკაცია: ქ.თელავი ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1 ა

ტელეფონი: +995 577 50 49 99

ელ-ფოსტა: telavi.prestige@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი, 09:00 - 18:00 სთ

დაგვიმეგობრდი

არ გამოტოვო კოლეჯის მნიშვნელოვანი აქტივობები და გამოგვყევი სოციალურ ქსელში HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/@PRESTIGE.GE